საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას

Primetime-ის ჟურნალისტის,

მირანდა ტყემალაძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 30 იანვარს „პრაიმტაიმზე“ გამოქვეყნდა მასალა სათაურით: „VIDEO: ხვიჩა კვარაცხელიას რეაქცია, როცა სტადიონიდან შეყვარებული დაინახა“ – მთავარ ფოტოზე არის კოლაჟი, ერთი ფოტო ამოჭრილია ვიდეოდან, ხოლო მეორე, ხვიჩა შეყვარებულთან ერთად – წარმოადგენს სადავო ფოტოსურათს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მინდა, ყურადღება გავამახვილო რამდენიმე ფაქტორზე:

1. სადავო ფოტო აღებულია Google-ის საძიებო სისტემიდან. ფოტოს მოძიების შედეგად ცალსახა იყო, რომ იგი მრავალჯერ იქნა გამოყენებული სხვადასხვა გამოცემის მიერ, რის გამოც გამიჩნდა გონივრული რწმენა, რომ ფოტოს გამოყენება მისი ავტორის მიერ არ იყო აკრძალული, ან რაიმე ფორმით შეზღუდული.
2. ფოტოს არ ჰქონია ლოგო, ამიტომაც, ავტორის იდენტიფიცირება ჩვენი მხრიდან შეუძლებელი იყო. ამასთან, ავტორი მითითებული არ იყო, ზემოაღნიშნულ არცერთ წყაროში.
3. ფოტოგრაფირება არ მომხდარა ექსკლუზიურად, ფოტოს ავტორის მიერ, ბევრი სააგენტოს, ტელევიზიისა და ფოტოგრაფის მიერ, მსგავსი ფოტო სხვადასხვა რაკუსით იმ დღესვე გავრცელდა.
4. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიიდან მივიღეთ წერილი და გავეცანით საქმის შინაარსს, სტატია დაუყოვნებლივ ჩავასწორეთ და ფოტოს ავტორი მივუთითეთ. (არ წავშალეთ, რადგან ამით ჩვენი პატივისცემა გამოვხატეთ და ჩავთვალეთ, რომ მისი შრომა ასე უფრო დაფასდებოდა). ამასთან, თქვენი მეშვეობით, მედიაცია ვითხოვე, რაზეც ქალბატონმა თამარ ჯიშკარიანმა უარი განაცხადა, ამის შემდეგ, მასთან კომუნიკაციის დამყარების მცდელობა არ მქონია, თუმცა, როგორც აღმოვაჩინე, მან Facebook-ზე დამბლოკა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოგრაფის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნებისათვის, უმნიშვნელოვანესია გაირკვეს, რა დანიშნულებით იქნა გამოყენებული მისი კონტენტი. კერძოდ, საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, ცალსახად ადგენს, რომ საინფორმაციო მიზნებისათვის ნაწარმოებების საჯარო გავრცელება, რეპროდუცირება, ციტირება და ა.შ. **დაშვებულია ავტორის, ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.**

ფოტოგრაფის მტკიცება, რომ ფოტოს გამოყენებისას არსებობდა მარკეტინგული გათვლა და ამით ჩვენ მივიღეთ რაიმე ფინანსური სარგებელი, არ შეესაბამება რეალობას.

2022 წლის 16 იანვარს ხვიჩა კვარაცხელია ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას ესტუმრა, სადაც პირველად ისაუბრა, რომ ჰყავდა შეყვარებული. იმავე დღეს, ჩვენთან დაიწერა სტატია სახელწოდებით: „რა ეროვნების გოგოზეა შეყვარებული ხვიჩა კვარაცხელია - ფეხბურთელი პირად ცხოვრებაზე“

ცხადია, საზოგაოდებაც და სააგენტოებიც და მით უფრო, ტაბლოიდი, ყვითელი მედია, დაინტერესდა მისი ვინაობით. მოგვიანებით, ხვიჩამ რუს იუთუბერთან უფრო ვრცლად ისაუბრა და ამის შემდეგ „პრაიმტიმმა“ წყვილზე აქტიურად დაიწყო წერა.

საინფორმაციო და გასართობი ინტერნეტ-გამოცემების საქმიანობა მთლიანად უკავშირდება საინფორმაციო / გასართობი სტატიების შექმნასა და გავრცელებას. მერწმუნეთ, რომ ფოტოს გამოქვეყნებით ჩემი სახელფასო ანაზღაურება, ან ჩემი სააგენტოს შემოსავალი არ გაზრდილა და, შესაბამისად, ხვიჩაზე დაწერილ სტატიებს ჩვენთვის რაიმე სახის ფინანსური კეთილდღეობა არ მოუტანია.

საქართველო-იტალიის თამაშის შემდეგ, ერთ-ერთმა სპორტულმა სააგენტომ, საკუთარი კეთილი ნებით კვარაცხელიას და ნიცას ერთობლივი ფოტო გამომიგზავნა, რაც ცხადია, აქტიურად არის გამოყენებული ჩვენს სტატიებში. შესაბამისად, რომ მცოდნოდა, Google-დან აღებული ფოტოს გამო, ვინმე მომედავებოდა, ან სიმბოლური თანხის გადახდა მომიწევდა, ცხადია, ხელს არ მოვკიდებდი.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა წყაროს მითითებით, ლოგოიანი ფოტო აგვიღია, პირადად მეც, არაერთხელ დამირეკავს ფოტოგრაფისთვის, რაზეც უარი არასდროს მიმიღია.

შესაბამისად, კარგად ვიაზრებ, საავტორო უფლებების როლსა და მნიშვნელობას ჩვენს სფეროში. მე ყოველთვის მზად ვარ, დავიცვა ყველა ავტორის უფლება, მის მიერ შექმნილ კონტენტზე. შესაბამისად, მეც და Primetime თანახმა ვართ, ავიღოთ ფოტო სტატიიდან, თუკი ამას მოითხოვს ავტორი. თუმცა, არ ვეთანხმებით რაიმე, თუნდაც სიმბოლური, ჰონორარის გადახდას.

.....

პატივისცემით

09.02.2023